საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1539 2018 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის შემდგომი მონიტორინგისა და კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდგომი მონიტორინგის პროცესში საქართველოს მხრიდან განსახორციელებელი ღონისძიებების კოორდინირებულად დაგეგმვისა და ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, შეიქმნას საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის შემდგომი მონიტორინგისა და კოორდინაციის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ვახტანგ მახარობლიშვილი	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
ხათუნა თოთლაძე	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

	მოადგილე
გოჩა ლორთქიფანიძე	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე
ნინო ჯავახაძე	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
ლაშა დარსალია	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე
თამილა ბარკალაია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
გიორგი ჭოლაძე	საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი
თამარ გვარამაძე	საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე
გიორგი თევდორაშვილი	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე
ეკატერინე ქარდავა	სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი
მერი მაღლაფერიძე	სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი
თამარ ქალდანი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი
გრიგოლ ლილუაშვილი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე

ნანა ბერიძე	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტა-მენტი) უფროსის მოადგილე
არჩილ ყარაულაშვილი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის უფროსი
სალომე შაფაქიძე	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
დავით ბუჯიაშვილი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
გიორგი ტაბატაძე	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი
ვიქტორია ბაიკოვა	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის აღმოსავლეთ პარტნიორობის, ევროკავშირთან პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი
ნიკოლოზ ჭინკორაშვილი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და

	საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსი.

2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ბ) უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმით დადგენილი კრიტერიუმების მონიტორინგი და სათანადო ღონისძიებების გატარებისათვის წინადადებების მომზადება.

3. საჭიროების შემთხვევაში, ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს, სხვა სახელმწიფო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შესაბამის ექსპერტებს სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

4. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის წინაშე.

5. სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციების შესრულება დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით დიალოგის წარმოებისათვის, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №2365 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**